

მყისიერი გადახდების სისტემა

დოკუმენტის მიზანი

დოკუმენტის მიზანია დაინტერესებულ პირებს გააცნოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილი მყისიერი გადახდების პროექტის შესახებ, კერძოდ, მიაწოდოს ინფორმაცია სისტემის მნიშვნელობის, სისტემის ფუნქციური შესაძლებლობების, ცენტრალური ბანკის როლის, სისტემის გამოყენების მაგალითების შესახებ. დოკუმენტის შინაარსი გათვლილია სისტემის პოტენციური მომხმარებლებისთვის (ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის), საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერები) და ფინტექ კომპანიებისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი განავითარონ მომხმარებელსა და მის მომსახურე საგადახდო მომსახურების შორის გადახდის ინიცირების საშუალებები.

ეს დოკუმენტი არ არის გათვლილი სისტემის მწარმოებლებზე, შესაბამისად არ მოიცავს იმ მნიშვნელოვან ტექნიკურ თუ სხვა მოთხოვნებს რომლის დაკმაყოფილება მნიშვნელოვანია სისტემის მწარმოებლის მიერ. მყისიერი გადახდის სისტემის შესყიდვა განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურის შესაბამისად.

მყისიერი გადახდების უაქმნის წინაპირობა

მუდმივი და უწყვეტი ტექნოლოგიური განვითარება და საგადახდო მომსახურების მომხმარებელთა მზარდი მოლოდინები გადახდის პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებით, განაპირობებს გადახდის ახალი გადაწყვეტილებების შექმნას ეფექტური და უსაფრთხო გადახდის სისტემების სახით, რაც **ფინანსური სისტემის სტაბილურობის, უნაღდო გადახდების ზრდის** და საგადახდო მომსახურების მიმართ **მომხმარებელთა ნდობის** მყარ საფუძველს ქმნის.

სისტემის დანერგვა, ხელს შეუწყობს გადახდების იმ სეგმენტის განვითარებას და მოსახლეობის/ მენარმეების იმ ნაწილის **ფინანსური ჩართულობის** გაზრდას, რომლებიც არ იყენებენ ფინანსურ მომსახურებას, ან ნაკლებად იყენებენ მათ.

მყისიერი გადასახადების სისტემის დანერგვა ბანკებისთვის, არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის **გაზრდის კონკურენტუნარიანობას** და მათ საშუალებას მისცემს დააკმაყოფილონ **ინოვაციური პროდუქტებისკენ** მიმართული კლიენტების მოლოდინი.

მყისიერი გადახდების ეკოსისტემის დანერგვა **დააჩქარებს გადახდის პროცესს და თანხის ხელმისაწვდომობას** გადარიცხვის მიმღებისთვის, **შეამცირებს ხარჯებს** და გააუმჯობესებს მომხმარებელთა **მომსახურების ხარისხს**. ფინტექ კომპანიებს

და სისტემის მონაწილეებს აღნიშნული მისცემს საშუალებას შექმნან მომხმარებლებისთვის მყისიერი გადახდების ინოვაციური მეთოდების ფართო სპექტრი.

მყისიერი გადახდების დეფინიცია, განმარტება

საგადახდო სისტემის საკითხებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებსა და კვლევებში მყისიერი გადახდების ცნება სხვადასხვა ცერმინით გამოიხატება, კერძოდ, ცერმინები, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება, არის: **სწრაფი გადასახადები** (fast payments, faster payments), **დაუყოვნებელი გადახდები** (immediate payments), **დროის რეალურ რეჟიმში გადახდები** (ან დროის რეალურ რეჟიმთან ახლო გადახდები) (real time/near to real time payments), **მყისიერ გადახდები** (instant payments), **24/7/365 გადახდები**. ყველა მიუთითებს იმაზე, რომ ამ ციპის გადახდების არსი და დამახასიათებელი თვისება, უპირველეს ყოვლისა, არის მათი შესრულების სიჩქარე, რომელიც უნდა იყოს დაუყოვნებელი, თითქმის მყისიერი.

მყისიერი გადახდისას ვგულისხმობთ ფიზიკური, ან იურიდიული პირების მიერ შესრულებულ გადახდებს (საცალო გადახდებს) და მნიშვნელოვანია მათი გარჩევა ბანკთაშორისი გადახდებისაგან (საბითუმო გადახდებისგან), რომელიც დროის რეალურ რეჟიმში ხორციელდება RTGS სისტემის საშუალებით. RTGS სისტემას მართავს ეროვნული ბანკი.

მყისიერი გადახდების სისტემები არის ელექტრონული საცალო გადახდის გადაწყვეტები, რომლებიც ხელმისაწვდომია 24/7/365, გადახდის შესრულება ხორციელდება იმავე მომენტში, მყისიერად და შესრულებისთანავე მიმღებისთვის თანხა დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი ხდება.

როგორც აღინიშნა, ამ ციპის გადახდებისთვის, მთავარი საკითხი არის თანხის მყისიერი, ან თითქმის მყისიერი მოძრაობა გამგზავნის და თანხის მიმღების ანგარიშებს შორის, რომლის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცენტრალური ინფრასტრუქტურის (მყისიერი გადახდის სისტემის) შეუფერხებელი ფუნქციონირება, არამედ სისტემაში ჩართული მონაწილეების (კომერციული ბანკების, არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერების) შიდა სისტემების, მომხმარებლებთან საკომუნიკაციო არხების/ინსტრუმენტების (ინტერნეტ-ბანკი, მობილური აპლიკაცია და სხვა) გამართული ფუნქციონირება.

მყისიერი გადახდის სისტემის ფუნქციონალი

მყისიერი გადახდის სისტემაში (IPS) ჩართული იქნებიან კომერციული ბანკები და სხვა (არასაბანკო) საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, რომელთა მეშვეობით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გადახდები განხორციელდება 24/7/365 რეჟიმში. სისტემის წესებით, რომელსაც შეიმუშავებს


ეროვნული ბანკი, როგორც სისტემის ოპერატორი, განსაზღვრული იქნება სისტემაში მონაწილეობის კრიტერიუმები.

სისტემაში გადამხდელსა და მიმღებს შორის გადახდის შესრულების სრული ციკლისთვის (გადახდის ინიცირებიდან მის შესრულებამდე (ანგარიშზე ასახვამდე)) დროის ხანგრძლივობის დაგეგმილი მაჩვენებელი განსაზღვრულია 10 წამამდე. სისტემაში ცალკეული გადახდა ინდივიდუალურად დროის რეალურ რეჟიმში (ან თითქმის დროის რეალურ რეჟიმში) განხორციელდება.

მყისიერი გადახდის სისტემაში ოპერაციები შესრულდება **ლარში**.

მომხმარებლებს შეეძლებათ გამოიყენონ გადახდების ინიცირების სხვადასხვა არხი: ფილიალთა, ინტერნეტ-ბანკი, მობილური აპლიკაცია და ა.შ.

მყისიერი გადახდის სქემა




გადამხდელის მიერ ინიცირებული გადახდა განხორციელდება დაუყოვნებლივ, თუ მომხმარებლის საგადახდო ანგარიშზე (საბანკო ან ელექტრონული ფულის ანგარიშზე) არის შესაბამისი ფულადი სახსრები, ასევე მისი მომსახურე ფინანსური ინსტიტუტის IPS ანგარიშზე არის საკმარისი ლიმიტი მყისიერი გადახდების შესასრულებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადამხდელს ეცნობება, რომ გადახდა არ განხორციელდა.

სისტემის მონაწილეები თავად მართავენ სისტემაში თავიანთ ლიკვიდობას დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის საშუალებით.

პროცესის გამარტივებისთვის და რისკების შესამცირებლად, IPS სისტემაში იქნება ლიკვიდობის მართვის ავტომატიზირებული მექანიზმი.

მყისიერი გადახდის სისტემის დამატებითი უპირატესობა არის **გადახდის მოთხოვნის** (Request to Pay (RTP)) შეცვობინებების დამუშავების ფუნქციონალი, რომელიც არ არის გადახდის საშუალება, ან გადახდის ინსტრუმენტი. გადახდის მოთხოვნის სქემა მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მოითხოვოს გადახდა გადამხდელისაგან (მაგ. ელექტრონული კომერციის ობიექტი გაუგზავნის მომხმარებელს გადახდის მოთხოვნას, მას შემდეგ რაც მომხმარებელი გააკეთებს შეკვეთას). შესაძლებელია გადახდის მოთხოვნა შეიცავდეს ინვოისსაც. გადამხდელს შეუძლია დაადასტუროს, ან უარყოს მოთხოვნა. გადახდის პროცესი იწყება გადახდის მეთოდის შერჩევით (ახლა/მოგვიანებით). ზოგიერთი გამოყენების მაგალითი მოითხოვს დაუყოვნებლივ გადახდას, მაგალითად, სავაჭრო ობიექტებში, ან ელ. კომერციის ვებ-გვერდზე გადახდას. თუ გადამხდელმა დაადასტურა გადახდის მოთხოვნა, განხორციელდება მყისიერი (მყისიერი გადახდის სისტემის მეშვეობით, მცირე თანხობრივი ოპერაციებისთვის) ან ჩვეულებრივი (RTGS სისტემის მეშვეობით, მცირე და მსხვილი თანხობრივი ოპერაციებისთვის) გადახდა.


გადახდის მოთხოვნის სქემა



სისტემა უზრუნველყოფს გადამხდელსა და მიმღებს შორის გადახდის დაბრუნების (Refund) შეცვობინებების დამუშავების მხარდაჭერას, რომლის სისტემაში გამოგზავნის უფლება მხოლოდ სისტემის მონაწილეს ექნება. თანხის დაბრუნების მოთხოვნის მიღებისას, ანგარიშის მფლობელის თანხმობის შემთხვევაში, ჩამოყალიბდება ახალი გადახდის დავალება და თანხა

დაუბრუნდება გადამხდელს. ანგარიშის მფლობელის გადაწყვეტილებით თანხა შესაძლოა დაბრუნდეს გადამხდელს სრულად ან ნაწილობრივ, ასევე მას შეუძლია უარი თქვას გადახდის დაბრუნებაზე. შეუსრულებელი მოთხოვნები გაუქმდება სისტემაში წინასწარ დადგენილი დროის გასვლის შემდეგ.

მყისიერი გადახდების შესრულებისას ანგარიშის ნომრის ნაცვლად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა მარტივი იდენტიფიკაციის (მაგ., მობილური ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი და სხვა) გამოყენება. აღნიშნულს უზრუნველყოფს **PROXY მონაცემთა ბაზა**, რომლის საშუალებითაც განხორციელდება მარტივი რეკვიზიტით (მობილურის ნომერი და სხვა) მიმღების IBAN ანგარიშის მოძებნა და გადამხდელისთვის მიწოდება. PROXY მონაცემთა ბაზაში IBAN-თან მობილურის ნომრის ან სხვა იდენტიფიკაციის მიმაგრება ანგარიშის მფლობელის **თანხმობით** განხორციელდება.



გარდა მარტივი იდენტიფიკაციებისა, გადახდის ინიცირების ერთ-ერთი მეთოდი შესაძლებელია იყოს **QR კოდები**, რომელშიც ჩაწერილი იქნება გადამხდელის (გადამხდელის მხარეს გენერირებული QR კოდის შემთხვევაში) ან მიმღების (მიმღების მხარეს გენერირებული QR კოდის შემთხვევაში) რეკვიზიტები, ასევე დინამიური კოდის შემთხვევაში შესაძლებელია გადახდის თანხის ჩაწერაც. სპეციალიზირებული აპლიკაციების საშუალებით, განხორციელდება QR კოდის წაკითხვა და საგადახდო დავალებაში შესაბამისი რეკვიზიტების ავტომატურად გადაცანა, ყოველგვარი ხელით ჩარევის გარეშე.

მყისიერი გადახდების სქემა დაეფუძნება გადახდების ევროპული საბჭოს (EPC) დოკუმენტზე "SEPA INSTANT CREDIT TRANSFER (SCT INST) SCHEME RULEBOOK"-ს, ხოლო გადახდის მოთხოვნის ფუნქციონალი - "SEPA REQUEST-TO-PAY (SRTP) SCHEME RULEBOOK"-ს.

სისტემაში შეცვობინებები დამუშავდება **ISO 20022 სტანდარტზე** და წესებზე დაყრდნობით. ISO 20022 არის გლობალური, ღია სტანდარტი საგადახდო შეცვობინებებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვნად ფართო და უკეთ სტრუქტურირებულ მონაცემებს მომხმარებლისთვის, რაც აუმჯობესებს გადახდის ეფექტურობას. ISO 20022 სტანდარტზე დაფუძნებულ შეცვობინებებში შესაძლებელია ისეთი იდენტიფიკაციის დამატება, რომელიც გააუმჯობესებს მომხმარებელი კომპანიებისთვის მიღებული გადახდების შიდა სისტემების ჩანაწერებთან რეკონსილაციას. აღნიშნული სტანდარტის

გამოყენება სამომავლოდ შესაძლებელს გახდის სხვა, მათ შორის საერთაშორისო საგადახდო სისტემებთან ინტეგრაციას.

სისტემის ხელმისაწვდომობა და წარმატება

სისტემის დაგეგმილი ხელმისაწვდომობის წლიური მაჩვენებელია 99,99% და ის უნდა მუშაობდეს 24/7/365 რეჟიმში ყველა მონაწილისთვის.

სისტემას უნდა შეეძლოს წამში სულ მცირე 100 ტრანზაქციის დამუშავება. ტრანზაქციების ზრდის შემთხვევაში, ასევე გათვალისწინებული იქნება წარმადობის გაუმჯობესება.

ეროვნული ბანკის როლი

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქციაა ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემების უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას. ამ ფუნქციის შესასრულებლად ეროვნული ბანკი გამოდის (ა) საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველის/ოვერსიერის, (ბ) საგადახდო და ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურის ოპერატორისა და (გ) ცვლილებების ინიციატორის როლებში.

მყისიერ გადახდებთან მიმართებაში, ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ცენტრალურ ინფრასტრუქტურას, რომელიც დააკავშირებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს და უზრუნველყოფს მყისიერი გადახდების დამუშავებას. ეროვნული ბანკი საწყის ეტაპზე იქნება ასევე სისტემის ოპერატორი, რომელიც შეიმუშავებს მყისიერი გადახდების სისტემის წესებს, განსაზღვრავს წარჩინებას და დაადგენს სისტემაში მონაწილეობის კრიტერიუმებს.